პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკა

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 104 (2467) ◉ ხუთშაბათი, 28 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

გზა ნაზევარფინალისკენ გაზსნილია!

საბჭოთა ფეხბურთელების გრწყინვალე გამარჯვება

ვიქტორ პონედელნიკს გააქვს 2 ბურთი

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 27 მაისი. სსრ კავშირი (ნაკრები) — შვეიცარია (ნაკრები) 3 : 1 (1 : 0).

სსრ კავშირი: იაშინი, მუდრიკი, შესტერნიოვი, გლოტოვი, ვორონინი, კორნეევი, ჩისლენკო, ივანოვი, პონედელნიკი, გუსაროვი, ჭუსაინოვი.

შვეიცია: არვიდსონი, როზანდერი, ვინგი, ბერგმარკი, მილდი, სვენსონი, მარტინსონი, ჰამრინი, სიმონსონი, ბილდი, პერსონი.

მსაჯი ა. ჰოლანი (ინგლისი).

მატჩის წინ ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ რედაქტორმა მ. ეურბინემ ლევ იაშინს, როგორც გასული სეზონის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, გადასცა თავისი ჟურნალის მიერ დაწესებული პრიზი — „ოქროს ბურთი“.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, შვედების ცენტრფორვარდი სიმონსონი შესტერნიოვის მიერ პერსონალურად იქნა აყვანილი. თანდათან გამოიკვეთა სტუმრების კომბინაციური ჩანაფიქრი: ბურთის გათამაშებას ისინი იწყებდნენ მინდვრის შუაგულიდან, გადაცემებს ჰამრინის მისამართით ახორციელებდნენ, ეს უკანასკნელი კი სიმონსონს უხსნიდა მეტოქის კარისკენ გზას. ზემოაღნიშნული მანეერი შვედებმა რამდენჯერმე განახორციელეს და ერთ-ერთი კინაღამ ჩვენი კარის აღებით დამთავრდა. ეს ასე მოხდა: ბერგმარკმა ბურთით გადატარა მთელი მინდორი, შეიჭრა საჯარიმო მოედანში და ზუსტად გადასცა ბურთი სიმონსონს, რომელიც 5 მეტრის მანძილზე მარტოდმარტო პირისპირ „შერჩა“ იაშინს. მაგრამ შვედების ამ განთქმულმა ბომბარდირმა ბურთი კარს აცილა.

ამ მომენტიდან საბჭოთა ფეხბურთელებმა სახიფათო იერიშები წამოიწყეს, რომლებიც მთელ მატჩში გაგრძელდა. განსაკუთრებით ძლიერად ითამაშა ვორონინმა. იგი იყო გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა როგორც შუა მინდორზე, ასევე დაცვასა და შეტევაშიც. ეს შესანიშნავი ფეხბურთელი მონაწილეობდა გუნდის თითქმის ყველა კომბინაციაში.

33-ე წუთზე შვედების მცველთა ურთიერთმოქმედებაში დაშვებული მცირე შეცდომა საკმარისი იყო იმისათვის, რომ მათ დაეკარგათ კონტროლი ცენტრში. აქ შემოიჭრა ჰუსაინოვი, რომელმაც მარცხნივ გარღვევაზე გაიყვანა პონედელნიკი, ამ უკანასკნელმა გამოიტყუა შვედების მეკარე და დაბალი ბურთი ზუსტად მოათავსა კარში — 1:0.

თამაში უფრო მეტად გამწვავდა. შვედებმა აჩვენეს ბურთის ფლობის ბრწყინვალე ტექნიკა და გადაცემათა თითქმის 100-პროცენტიანი სიზუსტე. შეინიშნება ნაკლიც. ისინი ხშირად გარდიგარდმო და მოკლე ბადაცემებით თამაშობდნენ, რის გამოც ძალზე დიდ დროს ანდომებდნენ შეტევის ორგანიზებას.

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე მარცხენა ფრთაზე თითქოს უმნიშვნელო კომბინაცია გათამაშდა... როცა ბურთი მიიღო პონედელნიკმა, იგი კარიდან 20-25 მეტრის მანძილზე იყო. შვედების მცველები კომბინაციის გაგრძელებას ელოდნენ, პონედელნიკმა კი მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა კარში. არვიდსონი გადახტა, მაგრამ უკვე გვიან იყო. 2:0!

ინიციატივას თითქმის მთლიანად საბჭოთა გუნდი დაეუფლა, მაგრამ აი, 33-ე წუთზე შვედებმა მოულოდნელი და სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს: მარტინსონი გავიდა წინ, ბურთი ჰამრინს გადაუგდო, რომელმაც ოსტატურად დაამუშავა იგი, ისარგებლა იაშინის დაგვიანებული გამოსვლით და გაქვითა ერთი გოლი.

ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია... შვედებმა სცადეს იგივე მანევრის გახორციელება, მაგრამ ამაოდ. პირიქით კი მოხდა: 38-ე წუთზე ივანოვმა მინდვრის სიღრმიდან წამოსულ ვორონინს გადასცა ბურთი და ამ უკანასკნელმა თავისუფალი პოზიციიდან ძალიან ზუსტად „მოარტყა ნიშანში“ — 3:1.

საბჭოთა ფეხბურთელებმა დამაჯერებელი ანგარიშით ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს და გავიდნენ ევროპის თასის ნახევარფინალში. მათი შემდეგი მეტოქეა დანიის ნაკრები. ამ ორი გუნდის ნახევარფინალური მატჩი შედგება 17 ივნისს ბარსელონაში.

საბჭოთა გუნდიდან ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს ვორონინმა და პონედელნიკმა, შვედების გუნდიდან — ბერგმარკმა.

ბ. ჟორჟია
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი (ტელეფონით).

ამჯერადაც წარმატება

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს საფრანგეთში. პირველი მატჩი ფრანგთა ეროვნულ გუნდთან ქალაქ მიულუზში მოიწყო და ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა — 71:33. განმეორებით შეხვედრაშიც, რომელიც ლიონში გაიმართა, უპირატესობა ისევ საბჭოთა კალათბურთელების მხარეზე იყო — 57:44 (19:22).

ლიდერების „შავი დღე“

რიგის ტტტ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. გუშინ გათამაშების მეორე დღე ლიდერებისთვის მარცხიანი გამოდგა. პირველად იწვნია დამარცხების სიმწარე ტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა, რიგის ტტტ-მ. მიუხედავად ამ წაგებისა (ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“), ლატვიელმა კალათბურთელებმა უკვე გაინაღდეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.

ამაში მათ დახმარება გაუწიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა, რომლებმაც სძლიეს ლენინგრადის არმიელთა კოლექტივს — ლიდერის ერთადერთ თეორიულ კონკურენტს.

წააგო შეხვედრა მესამე ადგილის მთავარმა პრეტენდენტმაც — ტაშკენტის „ტექსტილმაშმა“. მას დაეწია თბილისის ტურის გმირი — ლენინგრადის „ბურევესტნიკი“.

ქვემოთ მოგვყავს მეორე კალენდარული დღის შედეგები: „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი) 59:49, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „პოლიტექნიკი“ (კაუნასი) 71:54, უნივერსიტეტი (ტარტუ) — „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) 65:46, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — ტტტ (რიგა) 51:41, სპი (თბილისი) — სკა (ლენინგრადი) 49:46 (19:21), „დინამო“ (კიევი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) 45:41.

სურათზე: რიგის ტტტ — სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. რიმბენიეცი, ს. კროდერე, ხ. სმილძინია, ნ. ბლუმა, ნ. აისე; დგანან — მ. ტრაუკმანე, დ. გრუნდმანე, ნ. აუგლე, ლ. ალტბერგა, რ. კარნიტისი (მწვრთნელი), ს. ვოლბეტა, ხ. ხეხტა, ნ. კალნინია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გათამაშების ცხრილი

I—XII ადგილები

მდგომარეობა 28 მაისისათვის

	თ	მ	წ	ქ
ტტტ რიგა	18	17	1	17
სკა ლენინგრადი	18	12	6	12
„ტექსტილმ.“ ტშ.	18	11	7	11
„ბურ.“ ლენინგრ.	18	11	7	11
უსკ ტარტუ	18	10	8	10
„სომ.“ მოსკოვი	18	9	9	9
სპი თბილისი	18	8	10	8
„დინამო“ კიევი	18	7	11	7
„ურალმაში“ სვ.	18	7	11	7
„სიბირიაჩკა“ ნს.	18	6	12	6
„პოლიტექნიკი“ კნ.	18	6	12	6
„სპარტაკი“ მ. ო.	18	4	14	4

გარდაიცვალა ჯავაჰარლალ ნერუ

დელი, 27 მაისი. (საკდესი). დღეს 14 საათზე ადგილობრივი დროით (11 საათი და 30 წუთი მოსკოვის დროით) სამოცდახუთმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ინდოეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

უკანასკნელი საათი

მდგომარეობა კერძოდ

ერთიანული ბიბ-ლიოთეკა

ლიმა, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ, პერუს დედაქალაქში დაკრძალეს 24 მაისის ტრაგიკული ამბების მსხვერპლნი, როცა სტადიონზე პერუსა და არგენტინის ფეხბურთელთა გუნდების მატჩის დროს მომხდარი ინციდენტებისა და ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 320 კაცი. ასობით ბალდახინი დაიძრა სასაფლაოსაკენ. ზარების ხმამ აუწყა ამ ქვეყანას უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ბევრი პერუელის ოჯახს.

„სისხლიანი კვირის“ ამბებს სერიოზული შედეგები მოჰყვა. ვითარება პერუში დაძაბულია. დედაქალაქის ქუჩებს პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული ჯგუფები და ჯარის ქვეგანაყოფები. გუშინ 4 ათასმა სტუდენტმა დაიკავა ეროვნული სტადიონი; მხოლოდ ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ შეძლო ცხენოსანმა პოლიციამ მათი გაფანტვა.

გუშინ გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომა. დეპუტატებისა და სენატორების წინაშე გამოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხუან ლანგუასკომ გაამართლა პოლიციის მოქმედება, რომელმაც ცრემლსადენი გაზის გრანატები გამოიყენა და ძაღლები მიუსია მაყურებლებს. ლანგუასკო ამტკიცებდა, რომ პოლიცია მხოლოდ „თავის მოვალეობას ასრულებდა“. იგი შეეცადა კიდევაც „პოლიტიკური აგიტატორებისათვის“ დაედო ბრალი, რომლებიც თითქოს სტადიონზე მოქმედებდნენ.

ლანგუასკოს განცხადებამ პარლამენტართა აღშფოთება გამოიწვია. დეპუტატმა მმართველი პარტიის — სახალხო მოქმედების პარტიისაგან მარიო ვილიარანმა პასუხისმგებლობა ტრაგიკული ამბებისათვის შინაგან საქმეთა მინისტრს დააკისრა. თავის მხრივ დეპუტატმა სოციალისტური პარტიისაგან ალდანამ განაცხადა, რომ „ხალხი დაღალა ხიშტებმა, ძაღლებმა“.

აქ გამოცხადდა, რომ ოფიცრები, რომლებიც პოლიციის რაზმებს მეთაურობდნენ სტადიონზე, მოხსნეს პოსტებიდან და დაუპატიმრეს. სასამართლო ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ აღძრეს პროცესი. გადადგნენ ლიმის პრეფექტი და პრეფექტის თანაშემწე.

ზოგიერთ საწარმოში პროფკავშირთა მოწოდებით დროებით შეწყდა მუშაობა გლოვის ნიშნად. პერუს სტუდენტთა ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოითხოვს სამართალში მისცენ დამნაშავენი და დაუყოვნებლივ აღადგინონ კონსტიტუციური გარანტიები პერუში.

პერუს კომუნისტურმა პარტიამ მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა, მოიერიშეთა რაზმების დათხოვნა და პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტა.

დორტმუნდი. 50-მეტრიან აუზში გამართულ შეჯიბრებაზე ვაჟთა შორის 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებულ იქნა მსოფლიო რეკორდი — 1.58,2. ამ მიღწევის ავტორია დასავლეთგერმანელი სპორტსმენი ჰანს-იოაჰიმ კლეინი. მან 0,2 წამით გაუმჯობესა დ. შოლანდერის (აშშ) ძველი მიღწევა. ახლა მსოფლიოში ორად-ორი სპორტსმენია, რომლებმაც ეს დისტანცია 2 წუთზე სწრაფად გაცურეს.

ოთხნი — თბილისიდან

წყალბურთელთა ახლახან დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ წყალბურთის საკავშირო ფედერაციამ დამტკიცა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სია. მათ შორის ოთხი თბილისელი სპორტსმენია. აი, როგორ გამოიყურება ნაკრების კანდიდატთა სია:

მეკარეები — ლ. გოგოლაძე (თბილისის „დინამო“), ი. გრაბოვსკი (მოსკოვის „ტორპედო“), ვ. გულიაევი (ცსკა ვმფ); მცველები — ბ. გრიშინი (მოსკოვის „დინამო“), ვიან. კურენოი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ვ. სანაძე (თბილისის „დინამო“), გ. ჩიქვანაია (თბილისის „დინამო“); ნახევარმცველები — ა. კარტაშოი (მოსკოვის „დინამო“), ვ. ნოვიკოვი (ცსკა ვმფ), ვ. პუშკარიოვი (ლენინგრადის „ბალტიკა“), ვ. რომანოვი (თბილისის „დინამო“); თავდამსხმელები — ზ. ბორტკევიჩი (ბაქოს კკფ), ი. გრიგოროვსკი (მოსკოვის „დინამო“), ნ. კუზნეცოვი (ბაქოს კკფ), ვ. სემიონოვი (ცსკა ვმფ), ა. შიდლოვსკი (ცსკა ვმფ).

თამაშების კალენდარი

31 მაისი. 13.00. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — ტტტ (რიგა), 14.30. უნივერსიტეტი (ტარტუ) — „დინამო“ (კიევი), 16.00. „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი) — „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი), 17.30. სკა (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), 19.00. „პოლიტექნიკი“ (კაუნასი) — სპი (თბილისი), 20.30. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი).

1 ივნისი. 11.30. ტტტ (რიგა) — „პოლიტექნიკი“ (კაუნასი), 13.00. „დინამო“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), 14.30. „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი), 16.00. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი), 17.30. „სიბირიაჩკა“ (ნოვოსიბირსკი) — სკა (ლენინგრადი), 19.00. სპი (თბილისი) — უნივერსიტეტი (ტარტუ). 20.30. მონაწილეთა დაჯილდოება და ჩემპიონატის დახურვა.

სპორტიანთა მოკლეპაზი

მაგიდის ჩოგბურთი. გუნდური პირველობის დამთავრების შემდეგ დაიწყო შეჯიბრება პირად ჩათვლაში. ვაჟთა ერთეულებში ასპარეზობა წარიმართა ოლიმპიური სისტემით და უკვე გაირკვნენ ფინალისტები. ესენი არიან უნივერსიტეტის წარმომადგენელი ნ. ჯაფარიძე და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენი ა. აბრამიანი.

ჯაფარიძემ ერთნაირი ანგარიშით (2:0) ფინალამდე დაამარცხა ფ. დერბოიანი, ვ. ჩელიშევი, (ორივენი — პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან) და ვ. ოვაკიმიანი (ბათუმის პედინსტიტუტი).

მეორე ფინალისტმა აბრამიანმაც თავის ყველა მეტოქეს „მშრალი" ანგარიშით (2:0) მოუგო შეხვედრა. ესენი არიან ო. შპილევოი (უნივერსიტეტი), რ. აჯიაშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და ა. გიკაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). ფინალი შედგება დღეს.

ქალთა ერთეულების შეჯიბრებაც ოლიმპიური სისტემით უნდა ჩატარებულიყო. ტურნირზე 8 სპორტსმენი იქნა დაშვებული, ჩატარდა წელილსყრაც, რომელზეც ყველა მონაწილე იყო, მაგრამ... ს. პარფინიდიმ, კ. ლევინამ (ორივენი — ბათუმიდან) და ვ. სვანიძემ (თბილისის პედინსტიტუტი) ყოველად დაუშვებელი უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს და არ გამოცხადდნენ შეჯიბრებაზე. განსაკუთრებით საკვირველია ჩვენი ქვეყნის მეხუთე ჩოგბურთელის ს. პარფინიდის არასერიოზული დამოკიდებულება ასპარეზობისადმი. საკითხავია, წარმატებებისაგან თავბრუ ხომ არ დაეხვა მას?

შექმნილ ვითარებაში მსაჯთა კოლეგიამ არჩია ქალთა შეჯიბრება წრიული სისტემით ჩაეტარებინა და სწორადაც მოიქცა. აქ უკანასკნელი ტურის წინ სამი მოგებით ლიდერობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი ბ. პერელმანი.

ფრენბურთი. ქალთა გუნდებს შორის გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა თავისი უკანასკნელი მატჩის მოგებით პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებთან (3:1) თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონებმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს.

მეორე ადგილი დაიკავეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა, რომლებმაც თავის მხრივ უკანასკნელი მატჩი მოუგეს უნივერსიტეტის ფრენბურთელებს — 3:0.

ვაჟთა გუნდების ტურნირში „დავა" ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. აქ საპრიზო ადგილების ბედი გადაწყდება მას შემდეგ, როცა შეჯიბრებაში ჩაებმება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი (ამ გუნდის რამდენიმე წევრი „ბურევესტნიკის" საკავშირო ნაკრების შემადგენლობაშია, რომელიც ჰოლანდიაში გამგზავრების წინ საწვრთნელ შეკრებას ატარებს).

საგზატკეცილო ველოსიპედი. სპორტის ამ სახეობაში უკვე დამთავრდა შეჯიბრება.

ქალთა შორის ინდივიდუალური რბოლა 3 კილომეტრზე მოიგო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ვ. პოდოლსკაიამ (5.10).

გუნდებს შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი (21.43), 2. უნივერსიტეტი (22.48), 3. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტი (24.35).

ქალთა შორის 15 კილომეტრზე რბოლაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა ვ. პოდოლსკაიამ (24.58) და ვ. ჟელტკოვამ (26.07).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა — 1:49.22.

20 და 25 კილომეტრზე რბოლაში (ქალთა შორის) პირად და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს ვ. პოდოლსკაიამ და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა.

ვაჟთა შეჯიბრებაში 4 კილომეტრზე ნაჩვენები იქნა ასეთი შედეგები: ვ. კუბა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ლ. სუთიძე (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) — 5.53.

გუნდებს შორის პირველობა მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა (31.14).

ვაჟთა ინდივიდუალური რბოლა 25 კილომეტრზე მოიგო ვ. კუბამ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 38.04, მეორე იყო ა. სტაშევსკი (უნივერსიტეტი) — 38.13.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი (2:36.12), 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (2:40.40), 3. უნივერსიტეტი (2:46.21).

საერთო ჩათვლაში ქალთა შორის გაიმარჯვა უნივერსიტეტის კოლექტივმა, ვაჟებში კი — ფიზკულტურის ინსტიტუტმა.

„ლელოს" ბრიგადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში კარგახანია დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს მუშა-მოსამსახურეთა შორის.

* * *

სურათზე: საქსოვი საამქრო ფიზკულტშესვენებაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ცნობილია, რომ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს დადგენილების საფუძველზე საქართველოს სპორტკავშირი ატარებს ტანვარჯიშის მწვრთნელ-მასწავლებლების ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის შემოწმებას. აღნიშნული ღონისძიების ჩატარებას ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია.

ამ საქმის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით გორის სპორტკავშირის ტანვარჯიშის სექციამ ადგილობრივი, აგრეთვე ხაშურის, კასპის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონების მწვრთნელთა და მასწავლებელთა დასახმარებლად ჩაატარა მიმოხილვითი ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. სექციამ საგამოცდო საკონტროლო კითხვარები დაიყვანა თვითეულ მასწავლებლამდე.

ტანვარჯიშის მწვრთნელთა ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის შემოწმებას ესწრებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ს. თედეევი. შემოწმების შემდეგ მოხდა მასწავლებელთა და მწვრთნელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ს. თედეევმა წაიკითხა ლექცია წვრთნის მეთოდების სიახლეთა შესახებ.

შ. ლითანიშვილი,
გორის ტანვარჯიშის სექციის თავმჯდომარე.



მოკლედ

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა „განთიადის" საქალაქო პირადი პირველობა ფარიკაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 54-მა სპორტსმენმა.

რაპირით ბრძოლაში ქალთა შორის გაიმარჯვა ბ. ახვლედიანმა, ხოლო ვაჟთა შორის — გ. სანიკიძემ.

დაშნით მებრძოლებში უძლიერესი იყო ვ. დავითულიანი, ხოლო ხმლით მოფარიკავეთა შორის — დ. მეშველიანი.

ქოგულეთი. პიონერთა საქალაქო საბჭომ მოაწყო 2.000-მეტრიანი ამანათრბენი, რომელიც 11 ეტაპისგან შედგებოდა. იგი ყველაზე კარგ დროში გაიარბინეს ქობულეთის მე-5 რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურელებმა.

ლ. ბრაპაიძე

მეორე რესპუბლიკური

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა თბილისში ჩაატარა მედიცინის მუშაკთა II რესპუბლიკური სპარტაკიადა. მასში მონაწილეობდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის 18 რაიონული და საქალაქო კომიტეტი. სპარტაკიადა ტარდებოდა სპორტის 5 სახეობაში — მძლეოსნობაში, სროლაში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

საერთო პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისის მედიცინის მუშაკთა გუნდმა, რომელმაც წელსაც შეინარჩუნა 1963 წელს მოპოვებული თასი. მეორე ადგილზე გამოვდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი, მესამეზე — თბილისის კალინინის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივი.

ცალკეულ სახეობებში გაიმარჯვეს: ფოთის (მძლეოსნობა), თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის (მაგიდის ჩოგბურთი და სროლა), ჭიათურის (ჭადრაკი) და გორის (ფრენბურთი) გუნდებმა.

სპარტაკიადაში მონაწილეთაგან 5-მა აჩვენა მეორე თანრიგის, ხოლო 15-მა — მესამე თანრიგის შედეგები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სამწუხარო ფაქტი: ისეთ დიდ რაიონულ ცენტრებს, როგორიცაა ზესტაფონი, ხაშური, გურჯაანი, ახალციხე, ცხაკაია, სპარტაკიადაზე არ წარმოუდგენიათ არც ერთი მონაწილე.

კ. ხაჭოთასი,
მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ინსტრუქტორი.

კალათბურთი ქალთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. ასპარეზობა ამ სახეობაში წარმტაცი სანახაობაა. **სურათზე:** თბილისელი კალათბურთელი ლ. ქველიძე უტევს მეტოქეთა ფარს.

ფოტო მ. ზარგარიანისა

პასუხი მკითხველთა მეკითხვაზე

დედოგა, ფიზკულტურა და სპორტი

თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეთა ჯგუფმა მოგვმართა კითხვით: „ხშირად გვსმენია, და თითქოს პრაქტიკაშიც არსებობს რამდენიმე მაგალითი, რომ სპორტსმენი ქალი ოჯახს მოკიდების შემდეგ მკვეთრად აუარესებს შედეგებს და საბოლოოდ სტოვებს კიდევაც სპორტულ ასპარეზს. გთხოვთ გაგვიმარტოთ, რამდენად კანონზომიერი მოვლენაა ეს გარემოება?"

პასუხისთვის რედაქციამ სიტყვა მისცა 61-ე საშ. სკოლის ფიზიკურზრდის მასწავლებელს, სპორტის ოსტატ ეთერ ხახუბიას. აი, რას წერს იგი:

საზღვარგარეთ ყოფნის დროს მსოფლიო ჩემპიონს მარია ისაკოვას ჰკითხეს:

— როდის აპირებთ გათხოვებას?

როდესაც მარიამ უპასუხა, რომ იგი უკვე გათხოვილია და ორი შვილიც ჰყავს, რეპორტიორებმა გაოცებით პირი დააღეს...

დიახ, კაპიტალისტურ სამყაროში კვლავ მტკიცედაა ფესვგადგმული ის შეხედულება, რომ სპორტსმენი გათხოვებისთანავე ჰკარგავს წარმატებით გამოსვლის საშუალებას და აუცილებლად ჩამოცილდება სპორტს. შვილიანი სპორტსმენის ყოლა გუნდში არ სურს დასავლეთის არც ერთ მწვრთნელს.

სამწუხაროდ, ეს მცდარი თვალსაზრისი ზოგჯერ ჩვენშიც ჰპოვებს გავრცელებას. ზოგს მიაჩნია, რომ ოჯახს მოკიდების შემდეგ სპორტსმენ ქალს აღარ რჩება მეცადინეობისთვის საჭირო დრო და თითქოს რაღაც ფიზიოლოგიური ფაქტორებიც განაპირობებენ მისი შედეგების გაუარესებას.

ეს მხოლოდ ცრურწმენაა და მასზე სრულიად ნათელი, მკაფიო პასუხის გასაცემად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

მთელს მსოფლიოშია ცნობილი წარსულში გამოჩენილი ტანმოვარჯიშის გალინა ურბანოვიჩის სახელი. მან შვიდჯერ დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენის წოდება. მაგრამ შვერმა, ალბათ, ის არ იცის, რომ ასეთი ტრიუმფის დროს იგი შვილების პატრონი იყო. აი, თვით გალინას სიტყვები: „ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მე მშობიარობის შემდეგ მივაღწიე".

ცნობილმა სპორტსმენმა გალინა ტუროვამ საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა მშობიარობის შემდეგ.

ლარისა ლატინინა! ეს შესანიშნავი სპორტსმენი, რომელზეც აღტაცებით ლაპარაკობს მთელი მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა, მხოლოდ მცირე ხნით „გამოეთხოვა" სპორტს. მიზეზი კვლავ მშობიარობა გახლდათ და მას დასავლეთში ბევრნი თვლიდნენ ლატინინას სპორტული კარიერის დასრულების მიზეზადაც. მაგრამ ეს პროგნოზი „სულს ითქვამდა" კიდევ მხოლოდ 4 თვეს მას შემდეგ, რაც ლარისას შეეძინა შვილი. 4 თვის შემდეგ კი ჩვენ კვლავ ვიხილეთ ტანვარჯიშულ ასპარეზზე ლატინინასეული ბრწყინვალე „ხელწერა" და მან კვლავ განაგრძო მაღალი ქულებისა და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლების „შეუფერხებელი" დასაკუთრება.

რაღა შორს წავიდეთ!.. ჩვენი სასახელო ნინო დუმბაძე ხომ კვლავაც გასდა მსოფლიო რეკორდისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდების მფლობელი მას შემდეგ, რაც ვაჟი შეეძინა! შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა ქართველი სპორტსმენების — ელენე გოკიელის, მზია ჯუღელის, ალა ჩარგეიშვილისა და სხვათა მაგალითებიც.

რაც შეეხება ფიზიკური კულტურით ოჯახის დედის მეცადინეობის საკითხს, იგი აუცილებელია ყველასათვის.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში არაფერს გაუყვია დედობა ფიზკულტურისა და სპორტისგან.

მოსწავლეთა ასპარეზობანი

პიონერთა შორის

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის შექმნის დღესასწაულის აღსანიშნავად ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექციამ ჩაატარა მოსწავლე ფეხბურთელთა ტურნირი პარკის გარდამავალ თასსა და ვიმპელზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ 1949-1951 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები.

5 შეხვედრიდან 4 მოიგო, 1 ფრედ დაამთავრა და გამარჯვებულის სახელი მოიპოვა ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის გუნდმა.

ი. კოკუაშვილი

ქუთაისი.

ფრენბურთის გადესთან

დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში. მოსწავლე-სპორტსმენები დაყოფილი იყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად.

უფროსი ასაკის ჯგუფის გოგონათა გუნდებს შორის გაიმარჯვეს ოქტომბრის სახელობის რაიონის ფრენბურთელებმა, ხოლო ჭაბუკთა შორის — კალინინის სახელობის რაიონის სპორტსმენებმა.

საშუალო ასაკის გუნდებს შორის პირველი ადგილები მოიპოვეს ლენინისა (გოგონათა შორის) და 26 კომისრის (ჭაბუკთა შორის) სახელობის რაიონების ნაკრებმა კოლექტივებმა.

უმცროს ასაკში, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის უძლიერესნი იყვნენ ლენინის სახელობის რაიონის ნაკრები გუნდები.

ი. ხაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ლარსენი კვლავ წინაა

26 მაისს, გვიან ღამით, ამსტერდამის საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირზე განახლდა VI ტურის დაუმთავრებელი პარტიების კათამაშება. გლიგორიჩმა მოუგო ტრინგოვს, სპასკიმ — პორტიშს, კვინონესმა — პერესს, ბერგერმა — როსეტოს. პარტიები რეშევსკი — ევანსი, ლენდიელი — ვრანეშიჩი კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

მოგვყავს სატურნირო მდგომარეობა განვლილი VI ტურის შემდეგ:

ბ. ლარსენი (დანია)	— 5
ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია)	— 4,5
ბ. ივკოვი (იუგოსლავია)	— 4,5
დ. ბრონშტეინი (სსრ კავშირი)	— 4
ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი)	— 4
ვ. ევანსი (აშშ)	— 3,5 (1)
მ. ტალი (სსრ კავშირი)	—3,5
ბ. სპასკი (სსრ კავშირი)	— 3,5
ლ. ლენდიელი (უნგრეთი)	— 3 (1)
ს. რეშევსკი (აშშ)	— 3 (1)
ლ. პორტიში (უნგრეთი)	— 3
კ. დარგა (გფრ)	— 3
ლ. პასმანი (ჩეხოსლოვაკია)	— 3
ვ. ბენკო (აშშ)	— 3
ხ. პორატი (ისრაელი)	— 3
ზ. ვრანეშიჩი (კანადა)	— 2,5 (1)
ე. როსეტო (არგენტინა)	— 2,5
ლ. შტეინი (სსრ კავშირი)	— 2,5
ო. კვინონესი (პერუ)	— 2,5
ი. ბილეკი (უნგრეთი)	— 2
ფ. პერესი (კუბა)	— 1,5
ა. ფოგელმანი (არგენტინა)	— 1 (1)
ბ. ბერგერი (ავსტრალია)	— 1
ბ. ტრინგოვი (ბულგარეთი)	— 0,5 (1)

შენიშვნა: ფრჩხილებში მითითებულია გადადებული პარტიების რაოდენობა.

პრაღა — ტყვარჩელი

★

მატჩი გასტანს... ორ წელს

★

უკვე სამი თვეა მიმდინარეობს საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო საჭადრაკო მატჩი მიწურ-მოწურით თამაშში პრაღის „ტრანსპორტპროექტის“ საჭადრაკო კლუბის აქტივისტებსა და მეშახტეთა ქალაქის — ტყვარჩელის საჭადრაკო კლუბის წევრთა შორის. მატჩში თამაშდება მხოლოდ ორი პარტია.

ბრძოლაში ჩაბმულია კლუბების ნაკრები გუნდები. ტყვარჩელის სპორტულ ღირსებას იცავენ ინჟინრები გ. არდია, რ. ჩანგელია, თ. ბახტაძე, ექიმი ვ. ეთერია, ტრესტის ბუღალტერი ბ. კალინჩენკო, ქალაქკომის ინსტრუქტორი ნ. ჟოვერი, ტყვარჩელის ელსადგურის პარტორგანიზაციის მდივანი შ. ციკოლია, ტექნიკოსი წ. გვაზავა, პენსიონერები ო. კობახიძე, ი. გოლდმანი და ნ. ნიკოლაევი.

ორივე პარტიაში, რომლებშიც ბრძოლა გრიუნფელდის დაცვით დაიწყო, უკვე 7-7 სვლა გაკეთდა. მატჩი ორ წელს გასტანს.

ნ. ჯელიძე

სტუმრების უპირატესობით

რიგაში დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. პრიზების დიდი უმრავლესობა უცხოელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ქალთა ერთეულებში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკელმა ა. პალმოვამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა უნგრელი ე. პოლგარი — 7:5, 6:1. მესამე ადგილი წილად ხვდა ვ. ტიტოვას (სსრკ).

ვაჟთა ერთეულებში პირველი იყო რუმინელი ი. ცირიაკი. მან ფინალში სძლია თავის თანამემამულეს პ. მერმურიანუს — 6:2, 3:6, 6:3, 6:4. მესამე ადგილი მოიპოვა ა. პოტანინმა (სსრკ).

ვაჟთა წყვილებში პირველობა არავის დაუთმია რუმინელებმა — ცირიაკმა და მერმურიანუმ. მათ ფინალში „იმსხვერპლეს“ საბჭოთა წყვილი — მ. მოზერი და ა. პოტანინი — 6:4, 1:6, 7:5, 6:2. მესამე ადგილზე დარჩნენ ჩეხოსლოვაკელები (ბ. კორდა და ი. ვოპიჩკა).

შერეულ წყვილებში ცირიაკმა (რუმინეთი) მ. კულთან (სსრკ) ერთად პირველობა მოუგო ლ. პრეობრაჟენსკაიასა (სსრკ) და რ. შტალბერგს (გდრ). მესამე ადგილი წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს ტ. კივისა და ი. იუშკას.

საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველობა მხოლოდ ქალთა წყვილმა მოიპოვა — ლ. პრეობრაჟენსკაიამ და ვ. ტიტოვამ. მათ ფინალში მოუგეს მეორე საბჭოთა წყვილს ტ. კივის და ტ. სოომეს — 7:5, 7:5.

ეს ხალხი აპოლიტიკურობით არ არის განებივრებული. ალპინიზმი ერთადერთი სპორტია, რომელსაც არა ჰყავს მაყურებელი. მაგრამ ამას წინათ ქუთაისში მთასვლელებს დაუკრეს იმდენი ტაში, რომ მათ, ალბათ, ათეული მწვერვალის დასაპყრობად ეყოფათ. ქუთაისელები უკრავდნენ ტაშს, ყვიროდნენ, სწუხდნენ, უხაროდათ... ერთი სიტყვით, იმ დღეს ბაგრატის ციხის ნანგრევებთან წმინდა „საფეხბურთო ატმოსფერო“ იდგა.

აქ მიმდინარეობდა რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა კლდეზე ცოცვაში. შეჯიბრების პირველ დღეს უზარმაზარ ვერტიკალურ „კედელზე“ დაიწყო ერთეულთა ასვლები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის I და II, ქუთაისისა და ყაზბეგის გუნდების წარმომადგენლები.

ზუსტი, დაბეჯითებული მოძრაობებით დაძლიეს კლდოვანი „ტრასა“ თ. ბაქანიძემ (თბილისის I გუნდი) და ჯ. კახიანმა (ქუთაისი). მათ მანძილი სწრაფად დაფარეს და კლდეზე ცოცვის კარგი ტექნიკა გამოავლინეს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი თბილისელი მიხეილ ხერგიანი კენჭისყრით ყველაზე ბოლოს გამოვიდა.

მისი მოძრაობა ფაქტიურად არც იყო ცოცვა. შვეულ კედელზე დარწმუნებით, თავისუფლად მიდიოდა ადამიანი, დაახლოებით ისეთი სისწრაფით, როგორც... სამსახურში დაგვიანებული კაცი. მ. ხერგიანის დრო — 4 წუთი და 17 წამი — საუკეთესო აღმოჩნდა. იგი გახდა საქართველოს 1964 წლის ჩემპიონი. თ. ბაქანიძე მეორე ადგილზეა, ჯ. კახიანი კი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ქალთა შორის გაიმარჯვა ფ. ბურდულმა. მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდათ თ. ხერგიანს და ნ. ლაცაბიძეს (სამივენი თბილისიდან).

ასპარეზობის მეორე დღეს გაიმართა წყვილთა სვლა. სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ხერგიანის და ახალგაზრდა მთასვლელის ო. ერქომაიშვილის შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა და მათვე დარჩათ პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა მ. საჯაია — გ. სვანიძის წყვილი. ქუთაისელებს ჯ. კახიანსა და მიხეილ ხერგიანს (უმცროსს) ერგოთ მესამე ადგილი.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის I ნაკრები. მეორე ადგილი დაისაკუთრა დედაქალაქის II გუნდმა. მესამე პრიზიორი გახდა ქუთაისელ მთასვლელთა კოლექტივი. უკანასკნელ, მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ ყაზბეგელები. აქვე შევნიშნავთ: ყაზბეგელების ახალგაზრდულ გუნდს დიდი, დაბეჯითებული შრომა მართებს, რათა მომავალში ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს მეტოქეებს. ყაზბეგელებს საამისოდ ყველა პირობა აქვთ: ჰყავთ გაბედული, კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები, წვრთნისთვის კი მათ განკარგულებაშია რამდენიც გნებავთ კლდე...

საქართველოს პირველობა კლდეზე ცოცვაში

□

რა ითქმის კიდევ ამ შეჯიბრების შესახებ? ცუდია, რომ მონაწილეობა არ მიიღეს ცხინვალის, მესტიისა და ლენტეხის გუნდებმა. დასანანია ისიც, რომ ბევრ ჩვენს წამყვან ალპინისტს მხოლოდ მაყურებლის როლში ვხედავდით.

შეჯიბრების ორგანიზატორმა—ქუთაისის სპორტკავშირმა ყველაფერი გააკეთა, რათა ასპარეზობას მაღალ სპორტულ დონეზე ჩაევლო.

და ბოლოს, ისევ ქუთაისელ მაყურებლებზე. დილიდან კლდესთან უამრავი ხალხი იკრიბებოდა. იდგა შესანიშნავი ამინდი. რაჭა-ლეჩხუმის ავტობუსები საათობით ჩერდებოდნენ. მგზავრებს აღარ ახსოვდათ „დანიშნულების პუნქტები“ და თავდავიწყებით უკრავდნენ ტაშს, ღელავდნენ. მოხუცი ქალები იწერდნენ პირჯვარს, უკრავდნენ ტაშს. ზოგიერთი მაყურებელი იმდენად გათვითცნობიერდა, რომ გამწარებით დავობდა და კლდეზე ცოცვის წესებსა და მის შეფასებას „ასწავლიდა“... მსაჯებს.

რ. გაგრიაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღებისთვის

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

I ჯგუფი

„ვოლგა“ — მე-8 ადგილზე

26 მაისს შედგა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩი. გორკის „ვოლგამ“ თავის მოედანზე მიიღო ალმა-ატის „კაირატი“. შეხვედრა დამთავრდა გორკელთა გამარჯვებით — 1:0.

„ვოლგამ“ 11 თამაშის შემდეგ დააგროვა 11 ქულა და გათამაშების ცხრილში მე-12 ადგილიდან მერვეზე გადაინაცვლა.

„ბ“ კლასი

რსფსრ-ს IV ზონა

ნალჩიკი, 27 მაისი. (ტელეფონით). გუშინ აქ გურჯაანის „ალაზანმა“ ჩაატარა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში — შეხვდა ადგილობრივ „სპარტაკს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

• • •

26 მაისს სტავროპოლში შედგა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის რსფსრ-ს IV ზონის კალენდარული შეხვედრა. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო რუსთავის „მეტალურგი“. მატჩის შედეგია 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.

• • •

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის („ბ“ კლასი, რსფსრ-ს IV ზონა) მორიგი ტურის შეხვედრათა შედეგები:

„თერგი“ (გროზნო) — „შრომითი რეზერვები“ (მინერალური წყლები) 5:1, „დინამო“ (მახაჩყალა — „უროჟაი“ (მაიკოპი) 2:0, „დინამო“ (ბაქო) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0. მატჩი სოხუმის „დინამოსა“ და კაფანის „ლერნაგორცს“ შორის გადატანილია 19 ივნისისთვის (საკდესი).

□

კიდევ ერთი მატჩი თასზე

ლვოვში გაიმართა კიდევ ერთი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ადგილობრივმა სკა-მ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ვოლგოგრადის „ტრაქტორი“.

სასწაულ ფეხბურთში არ ხდება

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „მოტორი“ (იენა) 0:3 (0:2).

„მოტორი“: ფრიტცშე — შტრიკსნერი (ოტო), როკი, პატცერი, ბერგერტი — ვოიტზაცი, ლანგე — მიულერი, ბ. დუკე, კრაუსი, რ. დუკე.

„დინამო“: კოტრიკაძე — ბ. სიჭინავა, ხურცილავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი — იამანიძე, გ. სიჭინავა — მეტრეველი, ბარქაია, აფშევი (ალოევი), მესხი.

მსაჯი ლ. ხარჭისოვი (სოჭი).

სასწაულს კანონზომიერების ფორმა საერთოდ არა აქვს. 90 წუთის განმავლობაში შეიძლება იმედის ტყვეობაში ყოფნა, თუ კი იგი რაიმე რეალურ საფუძველს ეყრდნობა. იყო თუ არა გუშინდელ მატჩში რაღაც ამგვარი მოლოდინი? ვფიქრობთ, რომ არა. პირიქით, თამაშის მსვლელობის „რკინის კანონებს“ ლოგიკურად მივყავდით წაგებისკენ.

საგანგაშო ნიშნები შეხვედრის დასაწყისშივე გახდა შესამჩნევი. „დინამომ“ მეტისმეტად თვითდარწმუნებით წამოიწყო პირველი შეტევები და ოდნავადაც არ გაუწია ანგარიში მოწინააღმდეგის აშკარა თავგანწირულ თამაშს. მხედველობიდან გამორჩა „დინამოს“ ისიც, რომ გერმანელ ფეხბურთელებს უაღრესად დიდ მონდომებასთან ერთად, საკმაოდ მაღალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ანგარიშგასაწევი ტექნიკაც ჰქონდათ და... მასპინძლებზე უკეთესი ტაქტიკა.

ერთი სიტყვით, მატჩის დასაწყისშივე დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა, რომლის გამოსწორებასაც „დინამომ“ ამაოდ მოანდომა მთელი დრო. რა ჰქონდათ ასეთი განსაკუთრებული გერმანელ ფეხბურთელებს? ვფიქრობთ, რომ არაფერი, გარდა ძალზე საღი და ოპერატიული, ყოველი კონკრეტული მომენტისთვის შესაფერისი აზროვნება და კიდევ ერთი: თვითეული მათგანი ფიზიკურად ბრწყინვალედ იყო მომზადებული.

„მოტორის“ თავდამსხმელები, როგორც წესი, აქტიურად ეხმარებოდნენ დაცვას და კონტრშეტევების დროს მუდამ ადგილზე იყვნენ. ასეთმა ელასტიურმა მანევრირებამ გერმანელთა საჯარიმო მოედანი ჩვენი თავდამსხმელებისათვის შეუვალი გახადა. ეს იყო სტუმართა წარმატების პირველი პირობა. დასაწყისში „მოტორის“ ფეხბურთელები, როგორც ჩანს, იერიშების ეფექტურობაზე და შეტევაზე დიდ იმედებს არც კი ამყარებდნენ.

მაგრამ მადა ჭამაში მოდის, და სტუმრებიც თანდათან მიხვდნენ, რომ შეიძლებოდა, გოლის გატანაზეც ეფიქრათ, მით უმეტეს, ნაავადმყოფარი კოტრიკაძე საიმედოდ არ იდგა კარში. და აი, მათ შორი მანძილიდან დარტყმებით მოსინჯეს ნიადაგი. პირველივე ცდა წარმატებით დამთავრდა: მარჯვენა გარემარბმა ლანგემ 21-ე წუთზე ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

გოლმა თბილისელები გამოაფხიზლა, მაგრამ ეს გამოფხიზლება ქაოტურ, უსისტემო ფუსფუსს უფრო ჰგავდა, ვიდრე გეგმაზომიერ მოქმედებას. ყოველ თბილისელ თავდამსხმელს მოვალეობად მიიჩნდა ცენტრიდან გარღვევა, სადაც ორივე გუნდის თითქმის ყველა მოთამაშე იყრიდა თავს. 10-15 კაცში მოკლე გადაცემებითა და ბურთის გაუთავებელი ტარებით გასვლა, რა თქმა უნდა, ზღაპარია და დინამოელთა შეტევებიც საჯარიმო მოედნის მისადგომებთან იფუშებოდა; შორიდან კარში დარტყმაზე კი არავინ ფიქრობდა.

33-ე წუთზე გამეორდა პირველი გოლის სიტუაცია, და მარჯვენა შუამარბმა მიულერმა კვლავ შორიდან გაგზავნილი ბურთით მეორედ შეარხია „დინამოს“ კარის ბადე.

დინამოელები დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ დაიწყეს ნაჩქარევი, გაუაზრებელი იერიშები, რაც ბოლოს მოწინააღმდეგის კარის ნერვიულ და უსისტემო შტურმში გადაიზარდა. თავდასხმით გართულმა თბილისელებმა 52-ე წუთზე უმეთვალყურეოდ დატოვეს სტუმრების ცენტრალური თავდამსხმელი ბ. დუკე, რომელმაც 25 მეტრიდან მესამე ბურთი გაგზავნა „დინამოს“ კარში.

სასწაული არ მოხდა, რომელსაც გულშემატკივრები შეიძლება ელოდნენ კიდეც.

ნ. გუგუშვილი

სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში, ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ალპინიზმში... ეს ტიტულები თავისთავად მრავლისმეტყველია. მათი მფლობელია სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ხერგიანი, რომელმაც ალპინიზმის სამშობლოში — ინგლისში განაცვიფრა მამაცთა სპორტის მოყვარულნი. მას ინგლისელებმა „კლდეთა ვეფხვი“ უწოდეს.

მეგობრული შარჟი
რ. გაგრიაძისა

„ნაკრების“ ჭაბურიანის-ჯაყელისთვის

გაზეთ „ლელოს“ 16 მაისის ნომერში დაბეჭდილი იყო მამხილებელი წერილი სპორტის სახახლის დირექციის მიერ გაკეთებულ სტენდზე, რომელიც ეხებოდა მოკრივეთა ზონალურ საკავშირო სპარეზობას. როგორც სპორტის სახახლის დირექციამ გვაცნობა, მიღებულია კონკრეტული ზომები, რათა მსგავსი შემთხვევა შემდგომში აღარ განმეორდეს.

ალპინისტებს უკრავდნენ ტაშს...

საქართველოს პირველობა
კლდეზე ცოცვაში

□

რა ითქმის კიდევ ამ შეჯიბრების შესახებ? ცუდია, რომ მონაწილეობა არ მიიღეს ცხინვალის, მესტიისა და ლენტეხის გუნდებმა. დასანანია ისიც, რომ ბევრ ჩვენს წამყვან ალპინისტს მხოლოდ მაყურებლის როლში ვხედავდით.

შეჯიბრების ორგანიზატორმა—ქუთაისის სპორტკავშირმა ყველაფერი გააკეთა, რათა ასპარეზობას მაღალ სპორტულ დონეზე ჩაევლო.

და ბოლოს, ისევ ქუთაისელ მაყურებლებზე. დილიდან კლდესთან უამრავი ხალხი იკრიბებოდა. იდგა შესანიშნავი ამინდი. რაჭა-ლეჩხუმის ავტობუსები საათობით ჩერდებოდნენ. მგზავრებს აღარ ახსოვდათ „დანიშნულების პუნქტები“ და თავდავიწყებით უკრავდნენ ტაშს, ღელავდნენ. მოხუცი ქალები იწერდნენ პირჯვარს, უკრავდნენ ტაშს. ზოგიერთი მაყურებელი იმდენად გათვითცნობიერდა, რომ გამწარებით დავობდა და კლდეზე ცოცვის წესებსა და მის შეფასებას „ასწავლიდა“... მსაჯებს.

რ. გაგრიაძე
(ჩვენი სპეც. კორ.).

უცხოელ სპორტს ადასტურებენ



ROბერტ ჰეიესი! ამ სპორტსმენს კარგად იცნობენ მსოფლიოში. შესანიშნავმა სპრინტერმა გასულ წელს ხუთ შეჯიბრებაში ხუთჯერ ზედიზედ გაიმეორა მსოფლიო რეკორდი 60 იარდზე რბენაში. ამას წინათ მან მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა 100 იარდზე.

რ. ჰეიესი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრების მთავარი იმედია მოკლე დისტანციებზე რბენაში და ვარაუდობენ, რომ მან ტოკიოში არავის უნდა დაუთმოს ოქროს მედალი.

სულ სხვანაირად ფიქრობენ ჰ. ჯერომი და დ. ნიუმენი. ჯერომმა, რომელიც წელიწადნახევრის შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბილიკს, ვინიპეგში გამართულ შერჩევით ასპარეზობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა, ხოლო ნიუმენზე ამბობენ — „უკანასკნელ გასროლას“ გადამწყვეტი სტარტისთვის ინახავსო.

მაგრამ ყველას ავიწყდება ერთი, არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტორი: ევროპის სპრინტერთა შესაძლებლობანი. რომის ოლიმპიადაზე ხომ სწორედ ევროპელებმა მოიპოვეს პირველი და მესამე ადგილები 100 მეტრზე რბენაში?

სურათზე: რ. ჰეიესი (შუაში) ფინიშთან.





ევროპაში ტურნეს ატარებს ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კალათბურთელებისაგან შემდგარი ნაკრები გუნდი, რომელიც „რედ აუერბახის“ სახელს ატარებს. მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელთა სიმბოლური ნაკრები თავისი სიძლიერით რამდენიმეჯერ აღემატება საბჭოთა მაყურებლისთვის კარგად ნაცნობ გუნდს — „ჰარლემ გლობტროტერსს“.

„რედ აუერბახის“ ძირითად ბირთვს ზანგი სპორტსმენები წარმოადგენენ, რომელთა შორის უდავოდ პირველია „დიადი ბილ რასელი“ (ასე უწოდებენ მას შეერთებულ შტატებში მანამ, სანამ კალათბურთს თამაშობს და მეპატრონეებისთვის მეწველ ფურს წარმოადგენს). ბილ რასელს თქვენ ქვედა სურათზე ხედავთ.

მარჯვენა ზედა ფოტოზე ბურთით ხელში აღბეჭდილია გუნდის კაპიტანი, „კალათბურთის ჯადოქარი“ ბობ კოუსი. დაბალი ტანის მიუხედავად, კოუსი პროფესიული კალათბურთის აღიარებული ვარსკვლავია.

მესამე სურათზე თქვენ ხედავთ „რედ აუერბახის“ გუნდს. მარცხნიდან მარჯვნივ — კოუსი, ჰეინსონი, კოულა, რობერტსონი, რასელი, ჯონსი, ლუკასი და პეტიტი.

ᲖᲝᲙᲘᲝᲡ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი მონაწილეთათვის სხვადასხვაგვარ სუვენირებს ამზადებს. თამაშების გახსნის წინ სპორტსმენებს სამახსოვრო მედლები გადაეცემათ.

სურათზე თქვენ ხედავთ მედლის პირველ ნიმუშს, რომელსაც ათვალიერებს იაპონელი გოგონა.



ᲕᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ველოსიპედისტთა შორის მსოფლიო პირველობა მრავალდღიან რბოლაში არ ტარდება. მაგრამ დიდი ხანია, რაც პოპულარული ფრანგული ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ ყველა ქვეყნის უძლიერეს პროფესიულ მრბოლებს იზიდავს. სწორედ ამიტომაა, რომ „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებულს არაოფიციალურად ეკუთვნება მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

„ტურ დე ფრანსს“ ჰყავდა თავისი გმირები, რომელთა სახელები დღეს ლეგენდად არის ქცეული. ერთ-ერთი ასეთი გმირია ფრანგი ჟაკ ანკეტილი — თანამედროვე პროფესიული ველოსპორტის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი.

ჟაკ ანკეტილის სახელი და ავტორიტეტი უკვე გასცდა წმინდა სპორტულ სფეროს. მსხვილი კაპიტალისტური ფირმები სპორტსმენის პოპულარობას საკუთარი კომერციული მიზნებისთვის იყენებენ. ანკეტილი — ზღაპრული შემოსავლის წყაროა და, სწორედ ამიტომ, ფირმებს მისი სახელის გარშემო განუწყვეტელი დავა აქვთ. ფრანგი ველოსიპედისტი ამჟამად თავის სპორტული დიდების ზენიტში იმყოფება და თავს არხეინადაც გრძნობს. მაგრამ საკმარისია მსოფლიოს პირველმა ველოსიპედისტმა ოდნავ წაიბორძიკოს — მისი დიდების შარავანდედიც უკვალოდ გაქრება. კაპიტალისტურ სამყაროში ამის მრავალი ფაქტი არსებობს. დღესდღეობით კი...

ჟაკ ანკეტილი მონაწილეობს იტალიის მრავალდღიან ველორბოლაში „ჯირო დ'იტალიაში“ (თავისი მნიშვნელობით „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ მეორე შეჯიბრებაა მსოფლიოში) და, როგორც ყოველთვის, წარმატებით. 10 ეტაპის შემდეგ იგი რბოლას დამაჯერებლად ლიდერობს.

რამდენიმე სტრიქონით

რუმინეთის ფუხბურთელთა კავშირი თავისი ნაკრების უკეთ მომზადების მიზნით ივნისში ბუქარესტში აწყობს მწვრთნელთა სემინარს. მასში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან ერერა (იტალია), ჰერბერგერი (გფრ), კაჩალინი (სსრ კავშირი), ბატიო (საფრანგეთი) და სხვა ცნობილი სპეციალისტები.

ურუგვაის ახლანდელი ჩემპიონი „ნასიონალი“ ივნის-ივლისში 18 მატჩს ჩაატარებს ევროპაში. იგი ითამაშებს „ლიეჟთან“ (ბელგია), „შტუტჰარდტთან“ (გფრ), „ფეიენოორდთან“ (ჰოლანდია), „გეტებორგთან“ (შვეცია). ურუგვაელები გასტროლებს დაამთავრებენ იტალიაში „ფიორენტინასა“ და „იუვენტუსთან“ თამაშით.

რიო-დე-ჟანეირო. ცნობილ კლუბ „ფლამენგოს“, რომელმაც წელს თავისი შტატის ჩემპიონობა მოიპოვა, წვრთნის ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ფ. კოსტა. მისი აზრით, გუნდის ახალგაზრდა მეკარე მარციალი მალე შეძლებს ეროვნულ ნაკრებში ჟილმარის შეცვლას.

პირველი პუერტო-რიკოდან

პუერტო-რიკოს ქალაქ სან-ხუანში ცენტრალური ამერიკის ჩემპიონმა ძალოსნობაში ფ. ბაეზმა (მჩატე წონა), თავისი ქვეყნის ისტორიაში პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან ტოკიოს ოლიმპიადის წინ შესარჩევ შეჯიბრებაში 117 კილოგრამი აწია, რაც საბჭოთა ძალოსან ს. ულიანოვის რეკორდზე 1 კილოგრამით უმჯობესია. საბჭოთა ძალოსნის რეკორდმა წლინახევრის შემდეგ შეწყვიტა არსებობა.

მძიმე დანაკლისი

„ეს ჩვენი ოლიმპიური გუნდის ყველაზე მძიმე დანაკლისი იყო. იან ვან იერლანდზე ჰოლანდია დიდ იმედებს ამყარებდა“, — წერენ ამსტერდამის გაზეთები.

იერლანდის სახელი არა მარტო ჰოლანდიაში, არამედ მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. 1961 წელს ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მან წარმატებით ჩაატარა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირი და აი, უცებ...

მისი სახელი გაზეთების ქრონიკაში გამოჩნდა. ქალაქ ვეერტისა და რეორმორტის გზატკეცილზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა დაეჯახა. ერთ-ერთში საჭესთან იან ვან იერლანდი იჯდა. მას დახმარებამ ვერ მოუსწრო, სპორტსმენი უეცრად გარდაიცვალა.

„ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროში ამ დანაკლისს ჩვენ ალბათ ვერ შევავსებთ“, — განაცხადა ჰოლანდიის ძიუდოისტთა გუნდის მწვრთნელმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ნ ივნისიდან
ვენის ბალეტი ყინულზე
„აის რევიუ“
„ოცნება ბედნიერებაზე“
დასაწყისი: დღისით — 12 ს., საღამოს — 8 ს.
მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე (1 ივნისამდე).

არგენტინელთა ლიდერი

ხუთი სეზონის განმავლობაში ზედიზედ არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის უცვლელ სნაიპერად ითვლებოდა ცნობილი ცენტრფორვარდი სანფილიპო. გარეგნულად სანფილიპო არ ტოვებს ბომბარდირის შთაბეჭდილებას: იგი ტანმორჩილია, ფიზიკურად საკმაოდ სუსტი, მაგრამ ამ ნაკლის კომპენსაციას ახდენს მაღალი ტექნიკითა და საოცარი ალღოთი. თვითეულ კალენდარულ მატჩში მას სამუალოდ ერთი გოლი მაინც გააქვს.

ახლა სანფილიპოს გამოუჩნდა სერიოზული კონკურენტი — 24 წლის ლუის არტიმე. ამას წინათ არგენტინელებს დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ, რათა იტალიაში გადასვლისაგან ეხსნათ თავიანთი ახალი ლიდერი.

საქმე იმაშია, რომ „იუვენტუსს“ ამ ბოლო ხანებში უმტყუნეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა მირანდამ და ნენემ, ამიტომ კლუბის პატრონმა ა. ანელიმ გაყიდა მირანდა, მიაყოლა მას ნენეც და ახლა მათს შემცვლელებს ეძებს. ასეთ შემცვლელად მას არტიმე მიაჩნია, რომელიც იდეალური იქნებოდა „იუვენტუსისათვის“.

მაგრამ არგენტინელები დიდ იმედებს ამყარებენ არტიმეზე და ვერ ელევიან მას. ახალმა ცენტრფორვარდმა თავი უნდა გამოიჩინოს ჯერ ბრაზილიის „ოთხთა ტურნირში“ და შემდეგ ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატში.

არგენტინის ფედერაცია ფრიად ოპტიმისტურადაა განწყობილი და სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მომავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში არგენტინელთა თავდასხმის თამაში აგებულ უნდა იქნას სწორედ არტიმეს თავისებურებათა გათვალისწინებით.

არგენტინელი მიმომხილველები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ბრაზილიის ნაკრების თამაში ჯერჯერობით არ ტოვებს ჯეროვან შთაბეჭდილებას, ამიტომ მათს გუნდს ახლა აქვს საშუალება შური იძიოს თავის მთავარ მეტოქეზე ბოლო წლებში განცდილი დამარცხებებისათვის.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01221